



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

28 ოქტომბერი, 2020 წელი

10 დეკემბერი, 2020 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211325653
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მექანიკის ინჟინერია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მექანიკის ინჟინერიის ბაკალავრი Bachelor of Mechanical Engineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მექანიკა და ლითონის საქმე Mechanics and Metal Trades 0715
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, გადაწყვეტილება №273 11.11.2011 წელი

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის საავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა მოისწრაფიშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ჯაფარიძე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ცოტნე ცაავა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“ ხორციელდება 2012 წლიდან.

პროგრამის კურიკულუმი მოიცავს 240 კრედიტს, იგი ხორციელდება 4 წლის განმავლობაში, 8 სემესტრად.

საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი კომპონენტების სახით:

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება - 50 კრედიტი.

ინჟინერიის ზოგადი განათლება - 44 კრედიტი.

მექანიკის ინჟინერიის ძირითადი განათლება - 130 კრედიტი.

ინჟინერიის ზოგადი განათლებისა და მექანიკის ინჟინერიის ძირითადი განათლების კომპონენტები მოიცავს ლაბორატორიული და/ან პრაქტიკული მეცადინეობების შემცველი სასწავლო კურსებს 174 კრედიტის მოცულობით.

ზოგადი პრაქტიკული განათლება - 8 კრედიტი. ეს კომპონენტი მოიცავს, მუშაობას ორგანიზაციაში და საველე პრაქტიკას.

არჩევითი საგნები - 8 კრედიტი, რომელიც წარმოადგენს თავისუფალ კომპონენტს. ამასთან, სტუდენტებს შეუძლიათ, პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების გარდა 15 კრედიტის საგნები ისწავლონ დამატებითი გადასახადის გარეშე.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მექანიკის ინჟინერია“ სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 27 და 28 ოქტომბერს.

ვიზიტამდე ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და ვიზიტის წინ, 26 ოქტომბერს, ჩატარდა წინასაკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხები, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს.

27 ოქტომბერს ვიზიტი შედგა ქ. თბილისში ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში უნივერსიტეტში, რომლის ფარგლებშიც გადამოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობა, ხოლო 28 ოქტომბერს შედგა დისტანციურ ფორმატში ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და მოხდა რიგი საკითხების დაზუსტება.

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით და როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩატარდა წინასწარ დაგეგმილი ყველა შეხვედრა.

ვიზიტამდე და ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე.

სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - **მეტწილ შესაბამისობაშია** აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან 1.1 და 1.2 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტებთან;

სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - **მეტწილ შესაბამისობაშია** აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.1. კომპონენტი შესაბამისობაშია, 2.2, 2.4 და 2.5 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია, ხოლო 2.3 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტებთან;

სტანდარტი 3: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - **სრულ შესაბამისობაშია** აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტებთან;

სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - **სრულ შესაბამისობაშია** აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.2 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია, ხოლო 4.1 და 4.3 კომპონენტი კი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტებთან;

სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - **სრულ შესაბამისობაშია** აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან 5.1 და 5.2 კომპონენტები სრულ, ხოლო 5.3 კომპონენტი კი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

რეკომენდაციები

1.1. პროგრამის მიზნები - პროგრამის მიზნის ნაწილი „ავტომობილების და შიგაწვის ძრავების“ ცოდნის შესახებ სცდება მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის 0715 დეტალური

სფეროს მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს და წარმოადგენს „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ (დეტალური სფეროს 0716) სწავლის სფეროს და საჭიროა ამოღებული იქნას პროგრამის მიზნიდან.

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილი, რომელიც არის, ავტომობილებისა და შიგაწვის ძრავების შესახებ, სცდება მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის 0715 დეტალური სფეროს მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს და მიეკუთვნება „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ დეტალური სფეროს (0716), ამიტომ, ისინი საჭიროა ამოღებული იქნას პროგრამის სწავლის შედეგებიდან.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - საჭიროა პროგრამაში სტატუსი შეეცვალოს სასწავლო კურსებს „ავტომობილების თეორია“ (5 კრედიტი) და „შიგაწვის ძრავები“ (5 კრედიტი) და გადატანილი იქნას არჩევით სასწავლო კურსებში, რადგან ისინი არ ემსახურებიან მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად სწავლის შედეგების გამომუშავებას.

2.3. სასწავლო კურსი - საჭიროა სასწავლო კურსების „მანქანათა ნაწილების“, „მასალათა გამძლეობის“, „საინჟინრო გრაფიკის“ სწავლების ფორმები დაზუსტდეს, შესაბამისობაში მოვიდეს სემესტრულ გეგმაში მითითებულ სწავლების ფორმებთან და სასწავლო კურსით გათვალისწინებულ ასათვისებელი მასალის სპეციფიკასთან, ხოლო სასწავლო კურსების „გაზომვები და ხელსაწყოები“ და „საწარმო პროცესები“ სწავლებისთვის აუცილებელია დაემატოს ლაბორატორიული ფორმა, რომლის განხორციელება შესაძლებელია დაწესებულების რესურსებით.

ვინაიდან, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებული უნდა იყოს სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, სასწავლო კურსების სილაბუსებში „თეორიული მექანიკა 1“, „თეორიული მექანიკა 2“, „მასალათა გამძლეობა 1“, „მასალათა გამძლეობა 2“, „მექანიზმების და მანქანების თეორია 1“, „მექანიზმების და მანქანების თეორია 2“, „საინჟინრო გრაფიკა 1,2,3“, „მანქანათა ნაწილები“, „შიგაწვის ძრავები“, „ავტომობილების თეორია“ და სხვა საჭიროა განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, რადგან ისინი ძირითადად გამოცემულია 15-20 წლის წინ.

საჭიროა გადამუშავდეს სასწავლო კურსის სილაბუსი „მანქანათა ნაწილები“, სრულყოფილად გაიწეროს კურსის მიზანი, შეივსოს ძირითადი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით, სილაბუსის სალექციო თემატიკები და საათების განაწილება მოვიდეს შესაბამისობაში ასათვისებელი მასალის მოცულობის შესაბამისად (მაგ. „შესავლის“ შესწავლას დათმობილი აქვს 1 საათი, ასევე, „დაწებებით შეერთებას“ (რომელიც საერთოდ არ უნდა იყოს განხილული ამ სასწავლო კურსში) და ისეთ რთულ საკითხებს, როგორიცაა მე-11 ლექცია „ცილინდრული, კონუსური და ჭიახრახნული გადაცემები“, დათმობილი აქვს თითო საათი, რომლის ფარგლებში მითითებული საკითხების ათვისება არ არის შესაძლებელი;

საკურსო პროექტებს საჭიროა განესაზღვროს რელევანტური წინაპირობები.

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - საჭიროა პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი იყოს პრაქტიკის/სტაჟირების ფარგლებში მიღებული სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები - საჭიროა სასწავლო კურსების „მანქანათა ნაწილები“ და „საწარმოო პროცესები“, სწავლება განხორციელდეს ლაბორატორიული მეთოდებით.

4.1. ადამიანური რესურსი - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის 42:48 პროცენტული თანაფარდობის მიხედვით არ არის უზრუნველყოფილი პროგრამის განხორციელების მდგრადობა, რისთვისაც საჭიროა უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელ პირთა 50%-ზე მეტი დააკომპლექტოს საკუთარი აკადემიური პერსონალით.

4.3. მატერიალური რესურსი - პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მეთოდური მასალა და ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ყველა სილაბუსში გამოყენებული ლიტერატურა არ შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს და საჭიროა მათი განახლება უფრო თანამედროვე, შევსებული გამოცემებით.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - საჭიროა პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაში გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის ჩართულობის ხარისხი, ვინაიდან როგორც მათ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს დროს აღნიშნეს, გააჩნიათ შენიშვნები და მოსაზრებები იმ სასწავლო კურსების სილაბუსების მიმართ რომლებსაც უძღვებიან და მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული მათ შემუშავებაში.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.2. პროგრამის მიზნები - ტექნიკურად დასაზუსტებელია სამიზნე ნიშნულის „4 წელიწადზე მეტ ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელი შეადგენდეს არაუმეტეს 50%-ს (ბოლო 5 წლის საშუალო მონაცემებით ეს მაჩვენებელი შეადგენს 14%-ს)“ პროცენტული მაჩვენებელი, ვინაიდან ვადის დარღვევით პროგრამის დასრულების არსებულ პროცენტულ მაჩვენებელთან (14%) შედარებით გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი (50%), პროცესის გაუარესებისკენაა მიმართული და ამასთან, არ არის სასურველი სტუდენტთა კონტიგენტის 50 %-ს ესაჭიროებოდეს დამატებითი სემესტრის ან დამატებითი სასწავლო წლის/წლების დამატება.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - პროგრამის გაუმჯობესებისთვის, სასურველია დაწესებულებამ დააბალანსოს მასში შემავალი ზოგად ტექნიკურ საგნების მოცულობები კრედიტებში, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი სახით: თეორიული მექანიკა 10 კრედიტი, მასალათა გამძლეობა 10 კრედიტი, მექანიზმებისა და მანქანების თეორია - 9 კრედიტი, მანქანათა ნაწილები 5 კრედიტი, საწარმოო პროცესები 5 კრედიტი, ვინაიდან, მექანიკის ინჟინერიის კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის წარმოდგენილ სასწავლო კურსებში დამაგვირგვინებელი სასწავლო კურსია „მანქანათა ნაწილები“, რომელშიც შეისწავლება მანქანა-დანადგარების გაანგარიშებისა და კონსტრუირების საფუძვლები და მექანიკის ინჟინერის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო კურსი კი „საწარმო პროცესები“, შესაბამისად მათი შესწავლისათვის გამოყოფილი 5-5 კრედიტი შესაძლებელია გაიზარდოს ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსებისთვის დათმობილი კრედიტების ხარჯზე.

2.3. სასწავლო კურსი - პროგრამაში გასასწორებელია ისეთი ტექნიკური უზუსტობები, როგორიცაა სასწავლო კურსში „მასალათმცოდნეობა“ დაშვების წინაპირობიდან

„მათემატიკა 2“-ის ამოღება, სილაბუსში „მექანიზმების და მანქანების თეორია 2“ სასწავლო კურსის აღწერაში „მანქანათა ნაწილების“ კურსის აღწერის ჩანაცვლება შესასწავლი კურსის აღწერით.

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - სასურველია გაიზარდოს „მუშაობა ორგანიზაციაში“ სასწავლო კურსის ფარგლებში საწარმოში პრაქტიკაზე სტუდენტის მიერ გატარებული დრო.

2.6. სტუდენტების შეფასება - სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტებში შეფასების გასაჩივრების პროცედურა მითითებული იყოს მეტი დეტალიზებით. უნდა განისაზღვროს ლექტორის მხრიდან სტუდენტის პრეტენზიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ის კონკრეტული პროცედურები, რომლებიც სტუდენტს საკუთარი უფლებების დაცვაში დაეხმარება.

სასურველია, უნივერსიტეტში დაინერგოს პრაქტიკა - ხელახალი შეფასებისას პროცესში ჩართული იქნეს ერთზე მეტი შემფასებელი.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - სასურველია ელექტრონული ფოსტის გარდა გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა პროექტებზე სტუდენტთა ინფორმირების სხვა მეთოდიც, და დაინერგოს ჩართულობის მასტიმულირებელი მექანიზმი.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

2.5. სტუდენტების შეფასება - შეფასების ღია წიგნის მეთოდის გამოყენება, რომელიც აფასებს არა ფაქტობრივი მონაცემების დამახსოვრების უნარს, არამედ ორიენტირებულია ანალიტიკური და კრეატიული აზროვნების შემოწმებასა და განვითარებაზე.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - სტუდენტების დეკანის აპარატი, დასაქმების ფორუმები

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მექანიკის ინჟინერია“ მიზანია „მომზადდეს მექანიკის ინჟინერიის ბაკალავრი, რომელსაც ექნება ფართო ცოდნა: მანქანათა მექანიკაში, მექატრონიკაში, ავტომობილების, შიგაწვის ძრავების, ავტომატიზებული კომპლექსების, ჰიდრავლიკური სისტემების, მანქანათა ნაწილების გაანგარიშების ზოგად მეთოდებში. კურსდამთავრებული შეიძენს ცოდნას მექანიკის ინჟინერიაში გამოყენებული მასალებისა და საწარმოო პროცესების შესახებ. მას ექნება საინჟინრო უნარ-ჩვევები, რომელიც დაეხმარება საინჟინრო დარგში არსებული ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრაში. მექანიკის ინჟინერიის პროგრამის გავლის შედეგად შეძენილი უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს მისცემს საშუალებას იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე“.

პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია და მიღწევადია. იგი ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და ხაზს უსვამს იმ წვლილს, რომელსაც შეიტანენ სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნის ნაწილი „ავტომობილების და შიგაწვის ძრავების“ ცოდნის შესახებ სცდება მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის 0715 დეტალური სფეროს მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს და წარმოადგენს „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ (დეტალური სფეროს 0716) სწავლის სფეროს და საჭიროა ამოღებული იქნას პროგრამის მიზნიდან.

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა ზემოთ აღნიშნული უზუსტობის მიზეზად დაასახელეს ის ფაქტი, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში ავტომობილებისა და შიგაწვის ძრავების შესწავლა წარმოდგენილია იმ მიზეზით რომ ავტომობილების სპეციალისტებიც მექანიკოსები არიან, უდავოა, თუმცა ამ უკანასკნელის ცოდნა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ №69/ნ ბრძანების მე-2 დანართის მიხედვით გათვალისწინებულია 0716 დეტალურ სფეროში „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები“, ხოლო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა კი ემსახურება 0715 დეტალურ სფეროს „მექანიკა და ლითონის საქმე“ მიხედვით კვალიფიკაციის მიონიჭებას.

აქედან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტები და მიიჩნია, რომ საჭიროა პროგრამის მიზანი დაზუსტდეს მისანიჭებელი

კვალიფიკაციისა და 0715 დეტალური სფეროს შესაბამისად და ამოღებული იქნას ავტომობილებისა და შიგაწვის ძრავების შესახებ ჩანაწერი, რომელიც მიეკუთვნება „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ (დეტალური სფერო 0716) სწავლის სფეროს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მის წარმომადგენლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები, უცხოური უნივერსიტეტების პროგრამების ანალიზის შედეგები, დარგის განვითარების მოთხოვნები და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მიერ (იხ.1.2 პროგრამის სწავლის შედეგების აღწერა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისია;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მექანიკის ინჟინერია“;
- ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა http://agruni.edu.ge/sites/default/files/u113/AUG_S.pdf
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- საჭიროა პროგრამის მიზანი დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და 0715 დეტალური სფეროს შესაბამისად და ამოღებული იქნას ავტომობილებისა და შიგაწვის ძრავების შესახებ ჩანაწერი, რომელიც მიეკუთვნება „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ (დეტალური სფერო 0716) სწავლის სფეროს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. იგი ეფუძნება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერის მიერ დადგენილ სამ კომპეტენციას - ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

სწავლის შედეგები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, არის რეალისტური, გაზომვადი, მიღწევადი, შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციის დონეს, კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამაში გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა და საქართველოს ბაზარზე აღნიშნული სპეციალისტების მოთხოვნილება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქვესტანდარტი 1.1.-ში იქნა აღნიშნული, პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილი, რომელიც არის, ავტომობილებისა და შიგაწვის ძრავების შესახებ, სცდება მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის 0715 დეტალური სფეროს მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს და მიეკუთვნება „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ დეტალური სფეროს (0716), ამიტომ, ისინი საჭიროა ამოღებული იქნას პროგრამის სწავლის შედეგებიდან.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული იქნება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდად იყენებენ სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის შედეგად პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გაზომვას და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას. როგორც დაწესებულების ადმინისტრაციულ და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუდან ირკვევა, პროგრამის მოდიფიცირების დროს სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოსაზრებები, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები.

დაწესებულების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის პირდაპირი გაზომვა ხორციელდება კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტთა მიღწევების შემოწმების გზით.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღწეული სწავლის შედეგების მონიტორინგი ხორციელდება როგორც სტუდენტთა გამოკითხვით, ისე სასწავლო პროცესის მართვის ინფორმაციულ სისტემაში შეფასების უწყისების მონიტორინგით. მიღებული შედეგების სიმეტრიულობის კოეფიციენტის ანალიზისა და ნიშნების განაწილების მიხედვით ადგენენ რამდენად რელევანტური იყო ლექტორის

მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდები/ტექნოლოგიები და თუ ნიშნების განაწილებაში გამოიკვეთება დარღვეული სიმეტრიულობა, ადმინისტრაციული პერსონალი ლექტორთან ერთად ანალიზებს კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასებაში ცვლილებების განხორციელების საკითხს სტუდენტის აკადემიური მოსწრების, სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები და დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით კეთდება სწავლის შედეგების რეალისტური ანალიზი სასწავლო კურსებთან მიმართებაში და განისაზღვრება რომელი სასწავლო კურსის/კურსების დახმარებით რა ტიპის სწავლის შედეგი/შედეგები მიიღწევა, დგინდება რამდენი სწავლის შედეგი მიიღწევა ერთი სასწავლო კურსით, ანალიზდება და ამის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო კურსის დამატება, ან ამ სასწავლო კურსის მოდიფიცირება. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის ანალიზი ითვალისწინებს სასწავლო გეგმის სტრუქტურის მიმოხილვას და ინდივიდუალური კურსების წვლილს პროგრამის მიზნების მიღწევაში.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი რაოდენობრივი კვლევების პარალელურად ატარებს თვისებრივ კვლევებს, ჩაღრმავებული ინტერვიუებს ფოკუს ჯგუფებთან და ინდივიდუალურ შეხვედრებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

დამსაქმებლებისგან მიღებული ინფორმაციით ადგენენ იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომელიც სჭირდება შრომის ბაზარს და ახდენენ პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანას მასთან, რაც დადასტურებული იქნა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მიერ ინტერვიუს ფარგლებშიც.

სწავლის შედეგების გაზომვის არაპირდაპირი და პირდაპირი მეთოდების გამოყენების შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზის დახმარებით საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განვითარება/გაუმჯობესებაზე მუშაობენ გუნდურად პროგრამის ხელმძღვანელი და ადმინისტრაციული პერსონალი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები, რომელიც ითვალისწინებს მრავალ ასპექტს, მაგალითად: პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობას, პროგრამის ვადაში დასრულების მაჩვენებლებს, სტუდენტთა პროგრამაზე შენარჩუნების მაჩვენებელს, კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელს და სხვ.

ექსპერტთა მიერ გამოითქვა შენიშვნა, რომ ტექნიკურად დასაზუსტებელია მათგან ერთი სამიზნე ნიშნულის პროცენტული მაჩვენებელი „4 წელიწადზე მეტ ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელი შეადგენდეს არაუმეტეს 50%-ს (ბოლო 5 წლის საშუალო მონაცემებით ეს მაჩვენებელი შეადგენს 14%-ს)“, ვინაიდან ვადის დარღვევით პროგრამის დასრულების არსებულ პროცენტულ მაჩვენებელთან (14%) შედარებით გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი (50%) პროცესის გაუარესებისკენაა მიმართული და ამასთან, არ არის სასურველი სტუდენტთა კონტიგენტის 50 %-ს ესაჭიროებოდეს დამატებითი სემესტრის ან დამატებითი სასწავლო წლის/წლების დამატება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- გამოცდების ჩატარების წესი;
- ბაკალავრიატის დებულება.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილი, რომელიც არის, ავტომობილებისა და შიგაწვის ძრავების შესახებ, სცდება მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის 0715 დეტალური სფეროს მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს და მიეკუთვნება „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ დეტალური სფეროს (0716), ამიტომ, ისინი საჭიროა ამოღებული იქნას პროგრამის სწავლის შედეგებიდან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ტექნიკურად დასაზუსტებელია სამიზნე ნიშნულის „4 წელიწადზე მეტ ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელი შეადგენდეს არაუმეტეს 50%-ს (ბოლო 5 წლის საშუალო მონაცემებით ეს მაჩვენებელი შეადგენს 14%-ს)“ პროცენტული მაჩვენებელი, ვინაიდან ვადის დარღვევით პროგრამის დასრულების არსებულ პროცენტულ მაჩვენებელთან (14%) შედარებით გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი (50%), პროცესის გაუარესებისკენაა მიმართული და ამასთან, არ არის სასურველი სტუდენტთა კონტიგენტის 50 %-ს ესაჭიროებოდეს დამატებითი სემესტრის ან დამატებითი სასწავლო წლის/წლების დამატება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		+		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მექანიკის ინჟინერია“ დაშვება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების

ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

აღნიშნული სრულ შესაბამისობაშია სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან, ბაკალავრიატის დონის შესაბამისია, გამჭვირვალე და სამართლიანია.

დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის გაცნობა შეუძლიათ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული და ფაკულტეტის მიერ სოციალური ქსელისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით გავრცელებული ინფორმაციით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარში მოცემული სტატისტიკური ინფორმაციით დგინდება, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა მცირეა. ბოლო 5 წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამაზე

უნივერსიტეტი აცხადებს 10-10 პირის მიღებას, თუმცა საბოლოო ჯამში ჩარიცხულ პირთა რაოდენობა 33 სტუდენტია და მათგან 24 (საერთო ჯამში მისაღები კონტინგენტის 50%-მდე) არის აქტიური სტატუსის მქონე. პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმის თაობაზე, რომ მექანიკის ინჟინერია საზოგადოდ, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთშიც ითვლება ნაკლებპრესტიჟულ სპეციალობად, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მექანიკის ინჟინრების ახალი თაობის მომზადება, გეგმავენ სხვადასხვა ღონისძიებებს კონტიგენტის ზრდისთვის ზომიერად და ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“; ○ დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამის კურიკულუმი მოიცავს 240 კრედიტს, იგი ხორციელდება 4 წლის განმავლობაში, 8 სემესტრად.

საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი კომპონენტების სახით:

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება - 50 კრედიტი.

ინჟინერიის ზოგადი განათლება - 44 კრედიტი.

მექანიკის ინჟინერიის ძირითადი განათლება - 130 კრედიტი.

ზოგადი პრაქტიკული განათლება - 8 კრედიტი. ეს კომპონენტი მოიცავს, მუშაობას ორგანიზაციაში და საველე პრაქტიკას.

არჩევითი საგნები - 8 კრედიტი, რომელიც წარმოადგენს თავისუფალ კომპონენტს. ამასთან, სტუდენტებს შეუძლიათ, პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების გარდა 15 კრედიტის საგნები ისწავლონ დამატებითი გადასახადის გარეშე.

ინჟინერიის ზოგადი განათლებისა და მექანიკის ინჟინერიის ძირითადი განათლების კომპონენტები მოიცავს 174 კრედიტს.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი მასალის შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტებს პროგრამის მიმართ ჩამოუყალიბდათ შემდეგი სახის შენიშვნები:

პროგრამის სტრუქტურა ზოგადად თანმიმდევრული და ლოგიკურია. მისი შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში სტატუსი უნდა შეეცვალოთ სასწავლო კურსებს „ავტომობილების თეორია“ (5 კრედიტი) და „შიგაწვის ძრავები“ (5 კრედიტი) და „მექანიკის ინჟინერიის ძირითადი განათლების“ 130 კრედიტიდან ამ კურსებისთვის განსაზღვრული 10 კრედიტი საჭიროა გადავიდეს არჩევით სასწავლო კურსებში, რომელიც მხოლოდ 8 კრედიტითაა წარმოდგენილი. ამის საფუძველს წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ ისინი თავიანთი შინაარსით, მიზნითა და სწავლის შედეგებით არ ემსახურებიან მისანიჭებელი კვალიფიკაციის (0715 დეტალური სფეროს) მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებას, თუმცა, მათი შეთავაზება დასაშვებია არჩევითი სახით და ამავე დროს, აღნიშნული ცვლილება არსებით გავლენას ვერ მოახდენს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევაზე. პროგრამაში შემავალი ძირითადი სპეციალობის სხვა სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, რომელიც პროგრამაში ჯამურად 164 კრედიტის მოცულობით დარჩება, სრულად უზრუნველყოფს მექანიკის ინჟინერიის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას. ამასთან, აღნიშნულის საფუძველზე საბაკალავრო პროგრამაში გაუმჯობესდება თავისუფალი კრედიტების წილი (გაიზრდება 18 კრედიტამდე).

ასევე, პროგრამის გაუმჯობესებისთვის, სასურველია დაწესებულებამ დააბალანსოს მასში შემავალი ზოგად ტექნიკურ საგნების მოცულობები კრედიტებში, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი სახით: თეორიული მექანიკა 10 კრედიტი, მასალათა გამძლეობა 10 კრედიტი, მექანიზმებისა და მანქანების თეორია - 9 კრედიტი, მანქანათა ნაწილები 5 კრედიტი, საწარმოო პროცესები 5 კრედიტი. ვინაიდან, მექანიკის ინჟინერიის

კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის წარმოდგენილ სასწავლო კურსებში დამაგვირგვინებელი სასწავლო კურსია „მანქანათა ნაწილები“, რომელშიც შეისწავლება მანქანა-დანადგარების გაანგარიშებისა და კონსტრუირების საფუძვლები და მექანიკის ინჟინერის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო კურსი კი „საწარმო პროცესები“, შესაბამისად მათი შესწავლისათვის გამოყოფილი 5-5 კრედიტი შესაძლებელია გაიზარდოს ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსებისთვის დათმობილი კრედიტების ხარჯზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ საჭიროა პროგრამაში სტატუსი შეეცვალოს სასწავლო კურსებს „ავტომობილების თეორია“ (5 კრედიტი) და „შიგაწვის ძრავები“ (5 კრედიტი) და გადატანილი იქნას არჩევით სასწავლო კურსებში, რადგან ისინი არ ემსახურებიან მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად სწავლის შედეგების გამომუშავებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პროგრამის გაუმჯობესებისთვის, სასურველია დაწესებულებამ დააბალანსოს მასში შემავალი ზოგად ტექნიკურ საგნების მოცულობები კრედიტებში, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი სახით: თეორიული მექანიკა 10 კრედიტი, მასალათა გამძლეობა 10 კრედიტი, მექანიზმებისა და მანქანების თეორია - 9 კრედიტი, მანქანათა ნაწილები 5 კრედიტი, საწარმოო პროცესები 5 კრედიტი, ვინაიდან, მექანიკის ინჟინერიის კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის წარმოდგენილ სასწავლო კურსებში დამაგვირგვინებელი სასწავლო კურსია „მანქანათა ნაწილები“, რომელშიც შეისწავლება მანქანა-დანადგარების გაანგარიშებისა და კონსტრუირების საფუძვლები და მექანიკის ინჟინერის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო კურსი კი „საწარმო პროცესები“, შესაბამისად მათი შესწავლისათვის გამოყოფილი 5-5 კრედიტი შესაძლებელია გაიზარდოს ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსებისთვის დათმობილი კრედიტების ხარჯზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურს.

თითოეული სასწავლო კურსისთვის სილაბუსის ავტორის მიერ გაწერილია სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, სასწავლო კურსის კოდი, აკადემიური წელი და სემესტრი, სასწავლო კურსის ტიპი (ძირითადი, არჩევითი), სწავლების ენა, სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია, აუდიტორიის ნომერი, დამატებითი კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია, სასწავლო კურსის აღწერა, პრერეკვიზიტი, სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა და შკალა, სასწავლო მასალები, კალენდარული გეგმა, დამატებითი მოთხოვნები ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, გარდა 2.1. ქვესტანდარტში აღწერილი გამონაკლისისა - სასწავლო კურსები „ავტომობილების თეორია“ (5 კრედიტი) და „შიგაწვის ძრავები“ (5 კრედიტი) - რომლებიც არ ემსახურება მისანიჭებელი კვალიფიკაციის (0715 დეტალური სფეროს) მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებას.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა, როგორც „2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსის“ შეფასებისას აღვნიშნეთ, სასურველია სასწავლო კურსებს „მანქანათა ნაწილები“ და „საწარმოო პროცესები“ გაეზარდოთ კრედიტები.

ამასთან, საჭიროა სასწავლო კურსების „მანქანათა ნაწილების“, „მასალათა გამძლეობის“, „საინჟინრო გრაფიკის“ სწავლების ფორმები დაზუსტდეს, შესაბამისობაში მოვიდეს სემესტრულ გეგმაში მითითებულ სწავლების ფორმებთან და სასწავლო კურსით გათვალისწინებულ ასათვისებელი მასალის სპეციფიკასთან, ხოლო სასწავლო კურსების „გაზომვები და ხელსაწყოები“ და „საწარმო პროცესები“ სწავლებისთვის აუცილებელია დაემატოს ლაბორატორიული ფორმა, რომლის განხორციელება შესაძლებელია დაწესებულების რესურსებით.

აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნათა მიხედვით სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებული უნდა იყოს სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, რომლის სრულყოფილად დაკმაყოფილებისთვის საჭიროა ქვემოთ მითითებული სასწავლო კურსების წამყვანმა პერსონალმა მოიძიოს და განახლოს ძირითადი ლიტერატურა შემდეგ სილაბუსებში: „თეორიული მექანიკა 1“, „თეორიული მექანიკა 2“, „მასალათა გამძლეობა 1“, „მასალათა გამძლეობა 2“, „მექანიზმების და მანქანების თეორია 1“, „მექანიზმების და მანქანების თეორია 2“, „საინჟინრო გრაფიკა 1,2,3“, „მანქანათა ნაწილები“, „შიგაწვის ძრავები“, „ავტომობილების თეორია“ და სხვა, რომლებშიც მითითებული ლიტერატურა ძირითადად გამოცემულია 15-20 წლის წინ. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ლექციის შემდეგ სტუდენტები ელვატრონული ფოსტის საშუალებით ღებულობენ პრეზენტაციებს, რაც სტუდენტებმაც დაადასტურეს, თუმცა სრულყოფილად სასწავლო კურსის შედეგების გამომუშავებისთვის საერთო ჯამში, საჭიროა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული მოძველებული სასწავლო მასალა განახლდეს და ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ პროგრამის ასათვისებლად გამოყენებული სასწავლო რესურსები სრულად არ არის დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პროგრამაში გასასწორებელია ისეთი ტექნიკური უზუსტობები, როგორიცაა სასწავლო კურსში „მასალათმცოდნეობა“ დაშვების წინაპირობიდან „მათემატიკა 2“-ის ამოღება (აღნიშნული სასწავლო კურსის ცოდნის გამოყენებას არ ეფუძნება სასწავლო კურსის შესწავლა), სილაბუსში „მექანიზმების და მანქანების თეორია 2“ სასწავლო კურსის აღწერაში „მანქანათა ნაწილების“ კურსის აღწერის ჩანაცვლება შესასწავლი კურსის აღწერით.

საჭიროა გადამუშავდეს სასწავლო კურსის სილაბუსი „მანქანათა ნაწილები“, სრულყოფილად გაიწეროს კურსის მიზანი, შეივსოს ძირითადი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით, სილაბუსის სალექციო თემატიკები და საათების განაწილება მოვიდეს შესაბამისობაში ასათვისებელი მასალის მოცულობის შესაბამისად (მაგ. „შესავალის“ შესწავლას დათმობილი აქვს 1 საათი, ასევე, „დაწებებით შეერთებას“ (რომელიც საერთოდ არ უნდა იყოს განხილული ამ სასწავლო კურსში) და ისეთ რთულ საკითხებს, როგორიცაა მე-11 ლექცია „ცილინდრული, კონუსური და ჭიახრახნული გადაცემები“, , დათმობილი აქვს თითო საათი, რომლის ფარგლებში მითითებული საკითხების ათვისება არ არის შესაძლებელი. სილაბუსში საწარმო პროცესები არ არის მითითებული ლიტერატურა, რომლითაც შეისწავლება ჩარხები, სილაბუსში გაშლილ თემატიკებში აღნიშნულია სემინარები, ნაცვლად პრაქტიკულისა, ასევე, სასწავლო კურსის შესასწავლად აუცილებელია ლაბორატორიული მეცადინეობები.

პროგრამით გათვალისწინებულია 3 საკურსო პროექტის შესრულება, რომელთათვისაც არ არის მითითებული წინაპირობები, რომელიც აუცილებელია იქნას განსაზღვრული.

ვინაიდან სასწავლო კურსის მიზანში მითითებულია, რომ „კურსის განმავლობაში სტუდენტები მიიღებენ წინა და მიმდინარე სემესტრში მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკული რეალიზაციის გამოცდილებას, მექანიკური მოწყობილობის აწყობას და გამოცდას, ნამუშევრის პრეზენტაციას და დემონსტრირებას და ა. შ. შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს რელევანტური წინაპირობა იმ ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებიდან, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება დაბრკოლების გარეშე შეასრულონ საკურსო პროექტები.

საერთო ჯამში, საჭიროა შევიდეს რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში ცვლილებები, აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, დაზუსტდეს წინაპირობები, სწავლების ფორმები და განახლდეს მასში მითითებული ძირითადი ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის რესურსები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- საჭიროა სასწავლო კურსების „მანქანათა ნაწილების“, „მასალათა გამძლეობის“, „საინჟინრო გრაფიკის“ სწავლების ფორმები დაზუსტდეს, შესაბამისობაში მოვიდეს სემესტრულ გეგმაში მითითებულ სწავლების ფორმებთან და სასწავლო კურსით გათვალისწინებულ ასათვისებელი მასალის სპეციფიკასთან, ხოლო სასწავლო კურსების „გაზომვები და ხელსაწყოები“ და „საწარმო პროცესები“ სწავლებისთვის აუცილებელია დაემატოს ლაბორატორიული ფორმა, რომლის განხორციელება შესაძლებელია დაწესებულების რესურსებით.
- ვინაიდან, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებული უნდა იყოს სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, სასწავლო კურსების სილაბუსებში „თეორიული მექანიკა 1“, „თეორიული მექანიკა 2“, „მასალათა გამძლეობა 1“ , „მასალათა გამძლეობა 2“ , „მექანიზმების და მანქანების თეორია 1“, „ მექანიზმების და მანქანების თეორია 2“, „საინჟინრო გრაფიკა 1,2,3“, „მანქანათა ნაწილები“ , „შიგაწვის ძრავები“, „ავტომობილების თეორია“ და სხვა საჭიროა განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, რადგან ისინი ძირითადად გამოცემულია 15-20 წლის წინ.
- საჭიროა გადამუშავდეს სასწავლო კურსის სილაბუსი „მანქანათა ნაწილები“, სრულყოფილად გაიწეროს კურსის მიზანი, შეივსოს ძირითადი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით, სილაბუსის სალექციო თემატიკები და საათების განაწილება მოვიდეს შესაბამისობაში ასათვისებელი მასალის მოცულობის შესაბამისად (მაგ. „შესავლის“ შესწავლას დათმობილი აქვს 1 საათი, ასევე, „დაწებებით შეერთებას“ (რომელიც საერთოდ არ უნდა იყოს განხილული ამ სასწავლო კურსში) და ისეთ რთულ საკითხებს, როგორიცაა მე-11 ლექცია „ცილინდრული, კონუსური და ჭიახრახნული გადაცემები“, დათმობილი აქვს

თითო საათი, რომლის ფარგლებში მითითებული საკითხების ათვისება არ არის შესაძლებელი; ○ საკურსო პროექტებს საჭიროა განესაზღვროს რელევანტური წინაპირობები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პროგრამაში გასასწორებელია ისეთი ტექნიკური უზუსტობები, როგორიცაა სასწავლო კურსში „მასალათმცოდნეობა“ დაშვების წინაპირობიდან „მათემატიკა 2“-ის ამოღება, სილაბუსში „მექანიზმების და მანქანების თეორია 2“ სასწავლო კურსის აღწერაში „მანქანათა ნაწილების“ კურსის აღწერის ჩანაცვლება შესასწავლი კურსის აღწერით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგების, პროგრამის სპეციფიკისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და ზრდის სტუდენტთა საბაზრო მოთხოვნებთან შესაბამისობისა და პროფესიული წარმატების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკული უნარების განვითარების სინთეზურ მოდელს

მიმართავს, რაც სტუდენტებისათვის როგორც დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსის, ასევე თეორიულ კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკული ელემენტების შეთავაზებას გულისხმობს.

სტუდენტებისათვის შეთავაზებულ მრავალ სასწავლო კურსში, სპეციფიკის შესაბამისად, საკონტაქტო საათების ნახევარი სწორედ პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობისთვისაა განკუთვლილი. ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა ელექტრომექანიკა, ელექტრული წრედები, მექატრონიკა, ჰიდრავლიკა და სხვა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ყოველკვირეულ რეჟიმში თეორიული ცოდნის მიღების პარალელურად იმუშაონ ლაბორატორიაში და მოახდინონ მიღებული თეორიული ცოდნის მყისიერი ტრანსფერი პრაქტიკაში. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ზოგადი ქიმიის, ფიზიკისა და მასალათა გამძლეობის ლაბორატორიულ კურსებს. აღსანიშნავია საკურსო პროექტები, რომლებიც სტუდენტებს საინჟინრო პროექტების შემუშავებით წარსული და მიმდინარე ცოდნის პრაქტიკული რეალიზების საშუალებას აძლევს.

მატერიალურ-ტექნოლოგიური ბაზების დათვალიერებამ და ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სტუდენტები ლაბორატორიული სამუშაოების წარმოების დროს უზრუნველყოფილნი არიან სათანადო ხელსაწყოებით, მასალებითა და ინდივიდუალური სამუშაო სივრცით. მოცემული მონაცემებისა და დამსაქმებლებთან გასაუბრების საფუძველზე, რომელთაც ხაზი გაუსვეს აგრარული უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიის პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკულ უნარჩვევებს, შეგვიძლია დავასკვნათ რომ ლაბორატორიული მუშაობის ელემენტი და Learning-by-doing მეთოდი ეფექტიანად უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში თანმიმდევრულ ტრანსფერს.

საგანმანათლებლო პროგრამა მე-8 სემესტრში სტუდენტებს სთავაზობს დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსს საწარმოში. მუშაობა ორგანიზაციაში სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოსცადონ საკუთარი ცოდნის რეალურ სამუშაო პირობებთან შესაბამისობა და განივითარონ უნივერსიტეტისაგან შორს, შედარებით სტრესულ გარემოში, ცოდნის რეალიზების უნარჩვევები. პრაქტიკის ხელმძღვანელობას და მონიტორინგს ახორციელებს შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელი.

როგორც ადმინისტრაციამ, ისე კურსდამთავრებულებმა დაგვიდასტურეს რომ ამ კურსის ფარგლებში სტუდენტები ორგანიზაციაში დაახლოებით 10 სამუშაო დღეს ატარებენ. კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე მივიჩნევთ რომ უმჯობესი იქნება საწარმოში გატარებული დროის ხანგრძლივობის გაზრდა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი რომ გასაუბრებაზე მყოფი 3 კურსდამთავრებულიდან ერთერთს პრაქტიკის პერიოდის გახანგრძლივების მიზნით კომპანიის ხელმძღვანელისთვის თხოვნით მიმართვა

დასჭირდა, რათა კურსის შედეგისთვის სრულყოფილად მიეღწია.

უნივერსიტეტმა დამატებითი მოთხოვნის მიუხედავად არ წარმოადგინა დამსაქმებლებთან დადებული მემორანდუმები(მხოლოდ ერთი მემორანდუმის გარდა, რომელიც ზოგადი ხასიათისაა), რომელიც გაითვალისწინებს პრაქტიკებში ჩართული სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა თუ ხანგრძლივობას და სტუდენტებისათვის შექმნის იმის გარანტიას, რომ მომავალშიც შეუფერხებლად მოხდება მათი ამ პრაქტიკით უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლებთან გასაუბრებამ ნათლად დაგვანახა მათი სურვილი აქტიურად ითანამშრომლონ მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და ხელი შეუწყონ მისი სტუდენტების პროფესიულ განვითარებას, სასურველია მხარეებმა მოლოდინები შესაბამისი მემორანდუმის/ხელშეკრულების სახით შეათანხმონ.

პროგრამა ხელს უწყობს სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაზეც მეტყველებს 2018 წელს იულისის კვლევით ცენტრთან გაფორმებული შეთანხმება. ამ შეთანხმების ფარგლებში 2 სტუდენტი უკვე იმყოფებოდა 6 კვირიან ინტერშიფზე იულისის კვლევით ცენტრში. მიმდინარე თვეს იგეგმება პროგრამის 4 სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი თემების ონლაინ პრეზენტაცია იულისის კვლევითი ცენტრის პროფესორებთან, რომლის საფუძველზეც კვლავ შეირჩევა 2 სტუდენტი 6 კვირიანი ინტერშიფისთვის. სტუდენტები ადასტურებენ, რომ კვლევით პროექტებში ჩართვის შემთხვევაში პროგრამა გამოთქვამს მზადყოფნას კვალიფიციური პირების მიერ მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმების შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- მემორანდუმი.

რეკომენდაციები:

- საჭიროა გაფორმდეს დამსაქმებლებთან მემორანდუმები, რომელიც განსაზღვრავს პრაქტიკის/სტაჟირების ფარგლებში მიღებული სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია გაიზარდოს „მუშაობა ორგანიზაციაში“ სასწავლო კურსის ფარგლებში საწარმოში პრაქტიკაზე სტუდენტის მიერ გატარებული დრო
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში გაწერილია კურსის შინაარსისა და სპეციფიკის შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები. აღნიშნული სწავლება-სწავლის მეთოდები ადეკვატურია პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის, პასუხობს კურსის შინაარსსა და მიზნებს, აგრეთვე, უზრუნველყოფს კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები, მიესადაგება და ზომავს სწავლის თითოეულ შედეგსა და კომპეტენციას. სასწავლო კურსების შესწავლა ხორციელდება როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უშუალო მონაწილეობით, ისე ბაკალავრის დამოუკიდებელი მუშაობის გზით. სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების ისეთი ფორმები, როგორიცაა: სწავლების ვერბალური მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; ინდუქციური მეთოდი; დედუქციური მეთოდი; ანალიზის მეთოდი; სინთეზის მეთოდი; ლაბორატორიული მეთოდი; პრაქტიკული

მეთოდები; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ინტერაქციული მეთოდი; შედარებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; თანამშრომლობითი სწავლება; დისკუსია/დებატები; გონებრივი იერიში; პროექტირება.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია აისახება სილაბუსში.

სწავლის შედეგების მიღწევისთვის სწავლების ფორმებად იყენებენ ლექციას, პრაქტიკულს, ლაბორატორიულ მუშაობას და დამოუკიდებელ მუშაობას.

საერთო ჯამში, სასწავლო კურსების სილაბუსებში, გარდა „მანქანათა ნაწილები“ და „საწარმოო პროცესები“, რომლებშიც უნდა განხორციელდეს ლაბორატორიული მეთოდით სწავლება, სხვა შემთხვევაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლებისას გამოყენებულ ფორმებს და საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- საჭიროა სასწავლო კურსების „მანქანათა ნაწილები“ და „საწარმოო პროცესები“, სწავლება განხორციელდეს ლაბორატორიული მეთოდებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული, სტუდენტებისათვის კარგად ცნობილი, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების შესაბამისად. იგი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანს და ხორციელდება მკაფიო კრიტერიუმებისა და შეფასების სქემა/რუბრიკების გამოყენებით. პროგრამა იყენებს მრავალკომპონენტურ შეფასების სისტემას, რომელიც მოიცავს ისეთ ელემენტებს როგორიცაა: საშინაო დავალებები, ქვიზები, პროექტები, ანგარიშები, დისკუსიაში მონაწილეობა, წერიტი და ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაციები, ღია და დახურული ტესტები და შუალედური და დასკვნითი გამოცდები. პროგრამა განსაზღვრავს შეფასების მინიმალურ ზღვარს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის, რომელიც განსხვავებულია კურსების მიხედვით და შუალედური შეფასებისათვის მერყეობს 18%-50%-ს, ხოლო დასკვნითი შეფასებისათვის 12.5%-50%-ს შორის. სილაბუსების განხილვამ გვაჩვენა რომ შეფასების კომპონენტები თითოეული სასწავლო კურსისათვის შესაბამისობაშია ამ კურსის სწავლის შედეგებთან და ერგება მის სპეციფიკას. სტუდენტები იღებენ ზუსტ ინსტრუქციას დავალებასთან მიმართებით, რაც მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სქემა-რუბრიკებთან ერთად სტუდენტს ზუსტ მოლოდინებს უყალიბებს შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით და ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას. შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაცია ზოგადი ფორმით ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე განთავსებულ ბაკალავრიატის დებულებასა და გამოცდების ჩატარების წესში. კურსისთვის განსაზღვრულ შეფასების კომპონენტებზე ინფორმაციას კი სტუდენტები სილაბუსისა და ლექტორის მეშვეობით იღებენ. სემესტრის დაწყებამდე 2 კვირიანი საორიენტაციო პერიოდი უზრუნველყოფს პირველკურსელების ინფორმირებას და გათვინწობიერებას პროგრამის შეფასების სისტემის შესახებ.

უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს ცოდნის შემოწმების ღია წიგნის მეთოდს, რომელიც აფასებს არა ფაქტობრივი მონაცემების დამახსოვრების უნარს, არამედ ორიენტირებულია ანალიტიკური და კრეატიული აზროვნების შემოწმებასა და განვითარებაზე.

სტუდენტებს წერითი გამოცდები უტარდებათ საგამოცდო ცენტრში. სწორედ საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს განრიგის შედგენას, სტუდენტთა ინფორმირებას და საკუთარ თავზე იღებს ყველასათვის თანაბარი და სამართლიანი საგამოცდო პირობების უზრუნველყოფას.

გამოცდების ჩატარების წესის მეშვიდე მუხლის 7.2 და 7.3 ქვეპუნქტების თანახმად სტუდენტი უფლებამოსილია გააპროტესტოს შეფასება და უფლებამოსილია საგნის ლექტორთან მოითხოვოს საგამოცდო ნაშრომის გადამოწმება. სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ საჭიროების შემთხვევაში ლექტორს მიმართავენ ქულის მომატების თხოვნით, ვინც უმეტესად აკმაყოფილებს კიდეც მათ თხოვნას. მოცემული პრაქტიკა პროგრამაზე ლექტორებსა და სტუდენტებს შორის მეგობრული გარემოს არსებობაზე მეტყველებს, თუმცა აუცილებელია წინასწარ იქნეს განსაზღვრული სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გასაჩივრების კონკრეტული ფორმალიზებული მექანიზმი, რომელიც დეტალურად განუსაზღვრავს სტუდენტს ლექტორის მხრიდან მისი პრეტენზიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში რა პროცედურებით შეეძლება საკუთარი უფლებების დაცვა და გაზრდის შეფასების სისტემის სამართლიანობისა და ობიექტურობის ხარისხს. სასურველია გასაჩივრებული შედეგების ხელახალ განხილვაში ჩართული იყოს ერთზე მეტი ლექტორი.

მკაცრად ხდება პლაგიატისა და აკადემიური თაღლითობის კონტროლი, რის აღმოჩენის შემთხვევაშიც სტუდენტს შესაბამის სასწავლო კურსში ეწერება შეფასება F. საშინაო დავალებებისთვის წინასწარ განსაზღვრულია დედლაინი, რომლის დარღვევის შემთხვევაში არ მოხდება მათი მიღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მარეგულირებელი დოკუმენტები (გამოცდების ჩატარების წესი, ბაკალავრიატისა და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დებულება) <https://www.agruni.edu.ge/ge/documents>
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტებში შეფასების გასაჩივრების პროცედურა მითითებული იყოს მეტი დეტალიზებით. უნდა განისაზღვროს ლექტორის მხრიდან სტუდენტის პრეტენზიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ის კონკრეტული პროცედურები, რომლებიც სტუდენტს საკუთარი უფლებების დაცვაში დაეხმარება.
- სასურველია, უნივერსიტეტში დაინერგოს პრაქტიკა - ხელახალი შეფასებისას პროცესში ჩართული იქნეს ერთზე მეტი შემფასებელი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- შეფასების ღია წიგნის მეთოდის გამოყენება, რომელიც აფასებს არა ფაქტობრივი მონაცემების დამახსოვრების უნარს, არამედ ორიენტირებულია ანალიტიკური და კრეატიული აზროვნების შემოწმებასა და განვითარებაზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		+		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტები უნივერსიტეტში მოხვედრის საწყისი ეტაპიდანვე, 2 კვირიანი საორიენტაციო პერიოდის განმავლობაში, ეცნობიან მარეგულირებელ დოკუმენტებს, რომელიც განსაზღვრავს მათ უფლებებს, მოვალეობებსა და შესაძლებლობებს. ბაკალავრიატის დებულება, წესდება და სტუდენტთა ეთიკის კოდექსი დეტალურად აწვდის მათ ინფორმაციას იმის შესახებ თუ რისი უფლება აქვთ აკადემიურ პროცესში და ვის მიერ და როგორ მოხდება მათი კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო გამოცდილების სხვადასხვა ეტაპზე. საორიენტაციო პერიოდის განმავლობაში მათ აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად ეგზავნებათ შესაბამისი მასალები გამოცდების ჩატარების წესსა და შიდა და გარე მობილობის პროცესისა და პროცედურების შესახებ. ამ პერიოდში ადმინისტრაციისა და სტუდენტების დეკანის მხრიდან ხდება სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცესთან ადაპტაციის ხელშეწყობა, რაც სრულიად ახალ გარემოში მყოფი სტუდენტისათვის საკმაოდ ამარტივებს შემდგომ პროცესებს და ზრდის მის მზადყოფნას საჭირო შემთხვევაში აქტიურად დაიცვას საკუთარი უფლებები.

სტუდენტები არა მხოლოდ საწყის, არამედ მთელი საუნივერსიტეტო გამოცდილების განმავლობაში იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაციას და მხარდაჭერას კარიერული განვითარების უზრუნველსაყოფად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე პასუხისმგებელი არიან საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი და მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი. სტუდენტები კურსისა თუ პროგრამის შეფასების კითხვარების საშუალებით მონაწილეობას იღებენ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ გვაჩვენა, მათ აქვთ შესაძლებლობა ფაკულტეტის დეკანთან ღიად განიხილონ პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები და გაუზიარონ

საკუთარი შეხედულებები, რაც საკმაოდ პოზიტიური პრაქტიკაა.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს სტუდენტების დეკანი. სწორედ ეს სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას, ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ტიპის შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებებს, რომლებიც ხშირად სწორედ სტუდენტების მიერაა დაგეგმილი. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის სტუქტურულ ერთეულებთან და წარმოადგენს სტუდენტების მთავარ საკონტაქტო ორგანოს სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემის მოსაგვარებლად. ეს სამსახური ერთგვარი შუამავალი და სტუდენტთა უფლებების დამცველია ადმინისტრაციასთან ურთიერთობის პროცესში, რაც ამარტივებს მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლას და სტუდენტებში ქმნის იმის განცდას რომ უსმენენ და მის კანონიერ უფლებებს ჯეროვნად იცავენ.

აგრარული უნივერსიტეტი თანამშრომლობს ისეთ უნივერსიტეტებთან როგორცაა CeNak, Chonbuk National University, Jade University, Mendel University, University of Padova და სხვა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და თავი საერთაშორისო საზოგადოების ნაწილად იგრძნონ. ორმა სტუდენტმა უკვე მიიღო Erasmus-ის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა. ამ მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს 2018 წელს იულისის კვლევით ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმი, რაც მექანიკის ინჟინერიის პროგრამის სტუდენტებს საშუალებას აძლევს 6 კვირიანი ინტერშიფი გაიარონ იულისის კვლევით ცენტრში. ამ შეთანხმების ფარგლებში 2 სტუდენტი უკვე იმყოფებოდა გერმანიაში. უახლოეს პერიოდში მოხდება კვლევითი ცენტრის პროფესორების მიერ კიდე 2 სტუდენტის შერჩევა, რომლებიც მიიღებენ მსგავს გამოცდილებას და განივითარებენ კვლევით და პროფესიულ უნარებს.

სწორედ სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური უზრუნველყოფს საერთაშორისო გაცვლით და სხვა ტიპის პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის კოორდინაციას და აწვდის მათ ყველა საჭირო ინფორმაციას. სტუდენტები აღნიშნული სამსახურისგან ელექტრონული ფოსტის საშუალებით მუდმივად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა კონკურსის, პროექტისა თუ კონფერენციების შესახებ. თუმცა სტუდენტებთან გასაუბრებასა და მსგავსი ტიპის აქტივობებში მათი ჩართულობის დაბალ მაჩვენებელზე დაყრდნობით, ვთვლით რომ სასურველია მათთვის ინფორმაციის მიწოდების სხვა ფორმებიც იქნეს გამოყენებული და ჩართულობის სიტყვულირებისათვის დაინერგოს გარკვეული წამახალისებელი მექანიზმი.

სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურის სტრუქტურაში შედის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისი, რომელსაც ხელმძღვანელობს დასაქმების მენეჯერი. დასაქმების ოფისი უზრუნველყოფს სტუდენტთა კარიერულ განვითარებას ისეთი სერვისების შეთავაზებით, როგორიცაა ტრენინგები CV-შედგენასა და გასაუბრების ტექნიკებზე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ადაპტირდნენ სამუშაოზე აყვანის პროცედურებთან და გასაუბრებაზე უკეთ შეძლონ საკუთარი უნარების დემონსტრირება. აღნიშნული ტრენინგები მორგებულია აკადემიურ ცხრილს და იმართება რამდენიმე სესიად.

უნივერსიტეტში სემესტრში ერთხელ ეწყობა დასაქმების ფორუმი, რომელშიც საშუალოდ 100-მდე კომპანია მონაწილეობს. სტუდენტები წინასწარ იღებენ ინფორმაციას ფორუმზე მონაწილე კომპანიებისა და მათში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ფორუმი საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაესაუბრონ პოტენციურ დამსაქმებლებს, მიიღონ მეტი ინფორმაცია დარგის შრომის ბაზარზე არსებული პირობების შესახებ და უკეთ დაგეგმონ საკუთარი კარიერული განვითარება. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებით მსგავსი ფორუმები მათთვის დასაქმების საკმაოდ რეალურ საშუალებას ქმნის და ამარტივებს მათ ინდივიდუალურ ინტერესებზე მორგებული სამუშაო ადგილის ძიების პროცესს.

დასაქმების მენეჯერი მუდმივად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს მიმდინარე ვაკანსიების შესახებ. კავშირი ნარჩუნდება კურსდამთავრებულებთანაც. სტუდენტების მსგავსად ისინიც იღებენ უნივერსიტეტისგან დასაქმების შემოთავაზებებს. კურსდამთავრებულთა პროფესიული მიმართულებით დასაქმების მაჩვენებელი და მათთან გასაუბრება ცხადყოფს უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი კარიერული განვითარების პროგრამის ეფექტიანობას.

სტუდენტები ადასტურებენ რომ შეუფერხებლად იღებენ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული /ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალისგან საკონსულტაციო მომსახურებას. დროულად ხდება ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტისგან მომსახურებების გაწევა და საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციაც დროულად მზადდება და ელექტრონული ფორმით გადაეგზავნება სტუდენტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მონაცემები სხვადასხვა პროექტში სტუდენტთა ჩართულობის შესახებ;
- მარეგულირებელი დოკუმენტები სტრუქტურული ერთეულის დებულება(მუხლი 29. სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური)

○ პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმი; ○ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია ელექტრონული ფოსტის გარდა გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა პროექტებზე სტუდენტთა ინფორმირების სხვა მეთოდიც, და დაინერგოს ჩართულობის მასტიმულირებელი მექანიზმი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ სტუდენტების დეკანის აპარატი ○ დასაქმების ფორუმები
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ი გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ -
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ -

რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	+			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 54 პირი, მათ შორის, 23 აკადემიური პერსონალი (22 აფილირებული) შემდეგი განაწილებით: პროფესორი - 13, ასოცირებული პროფესორი - 5 და ასისტენტ პროფესორი - 5 . პროგრამის დანარჩენი 31 განმახორციელებელი პირი მოწვეულია და მათ შორის არიან 24 სამეცნიერო პერსონალიც . თითოეულ მათგანს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა ფუნქციების შესრულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის 42:48 პროცენტული თანაფარდობა ექსპერტთა მოსაზრებით ექვცევშ აყენებს პროგრამის მდგრადობას, ვინაიდან სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოწვეული პერსონალის დენადობა საკმაოდ მაღალი 19,6 %-ია და მიუხედავად იმისა, რომ ესოდენ მაღალი პროცენტით მოწვეული პერსონალის დენადობა დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით გამოწვეულია იმით, რომ ისინი ესწრაფვიან მეტად კომპეტენტური პირებით დააკომპლექტონ პროგრამის განმახორციელებლები, ექსპერტებს მიაჩნიათ რომ აღნიშნულით არ არის უზრუნველყოფილი პროგრამის განხორციელების მდგრადობა, რისთვისაც საჭიროა უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელ პირთა 50%-ზე მეტი დააკომპლექტოს საკუთარი აკადემიური პერსონალით.

პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის პირადი საქმის გაცნობითა და გასაუბრებით დგინდება, რომ გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის და განვითარებისთვის საჭირო კომპეტენცია და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს და ხელმძღვანელებს გამოქვეყნებული აქვთ შრომები როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში.

პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალითა და კვალიფიციური დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა;
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ფაკულტეტის სტრუქტურა.

რეკომენდაციები:

- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის 42:48 პროცენტული თანაფარდობის მიხედვით არ არის უზრუნველყოფილი პროგრამის განხორციელების მდგრადობა, რისთვისაც საჭიროა უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელ პირთა 50%-ზე მეტი დააკომპლექტოს საკუთარი აკადემიური პერსონალით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ფასდება აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აქტივობები, რომლის შედეგებზე დაყრდნობით გეგმავს და ატარებს პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებებს სწავლების თანამედროვე მეთოდების, შეფასების სისტემისა და სხვ. თემატიკების მიხედვით.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის ფუნქციაში შედის აკადემიური პერსონალის განვითარებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციისათვის პერსონალის განვითარების მეთოდებისა და მექანიზმების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სწავლისა და სწავლების ხარისხისა და ხარისხის კულტურის ამაღლებას უნივერსიტეტში.

იგი ყოველი სემესტრის დასაწყისში ატარებს ტრენინგებს, აცნობს ახლად არჩეულ აკადემიურ პერსონალს სილაბუსების შემუშავების, დაწერის მეთოდოლოგიას, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე პრინციპებსა და სტრატეგიებს, ეხმარება კურსისთვის შესაბამისი შეფასების სისტემის, ცოდნის შემოწმების ფორმების შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს და ზომავდეს სასწავლო კურსში პერსონალის მიერ შემუშავებულ სწავლის შედეგებს. თავისი მუშაობის დაგეგმვისას იგი იყენებს ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ კვლევის შედეგებს, რის საფუძველზეც ავლენს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ სწავლების მეთოდებში სუსტ მხარეებს, შეიმუშავებს სამუშაო შეხვედრების გეგმას შესაბამისი სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად, ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერთან ერთად შეიმუშავებს საორიენტაციო შეხვედრების განრიგს, რომლითაც ხელს უწყობს ახლად არჩეული აკადემიური პერსონალის ინტეგრირებას საუნივერსიტეტო სივრცეში, არსებული აკადემიური პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის სემესტრულად გეგმავს სამუშაო სემინარებს, სადაც მათთან ერთად აანალიზებს და გამოავლენს პერსონალის სუსტ და ძლიერ მხარეებს და პრობლემათა გადაწყვეტის გზებს.

მეცნიერის ყოველწლიური აქტივობების შეფასების სქემა მეცნიერის პროდუქტიულობის შეფასება პილოტირების პროცესშია და იტესტება, რათა მოხდეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისი საქმიანობის შეფასება იმ შედეგებით, რასაც მიაღწია მოცემულ ვადაში.

მეცნიერის ყოველწლიური საქმიანობა ფასდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინსტიტუტების მიხედვით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ცოდნის ფონდის მიერ გაწეული დაფინანსება, მეცნიერის მიერ წლის განმავლობაში მოპოვებული გრანტების მოცულობა და რაოდენობა, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და ფართის ათვისება, Impact Factor-იან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა და რეიტინგი, მეცნიერის ციტირების ინდექსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვეყნებული წიგნები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები • სასწავლო პროცესში ჩართულობა (აკადემიური დატვირთვა წლის განმავლობაში, საათების რაოდენობა), წლის განმავლობაში დოქტორანტების ხელმძღვანელობა და დაცული დისერტაციების რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა; ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; ○ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამის „მექანიკის ინჟინერია“ განხორციელებისათვის შექმნილია შესაბამისი სასწავლო გარემო: თანამედროვე სალექციო ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები, დარბაზი, ლაბორატორიები პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებისთვის ლაბორატორიები, სასწავლო საწარმო, საგამოცდო ცენტრი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და

მოოწყობილობა-ხელსაწყოებით, უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტით, ბუნებრივი განათებით, გათბობისა და გაგრილების სისტემებით.

სასწავლო საწარმოში განთავსებულია მექანიკის ინჟინერიის ყველა ძირითადი ოპერაციის შესასრულებლად ჩარხები და არის გამართულ მდგომარეობაში. ინტერვიუს ფარგლებში საწარმოს თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ საწარმო ემსახურება ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტებსაც.

შენობაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

სასწავლო გარემო ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის.

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მეთოდური მასალა და ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ყველა სილაბუსში გამოყენებული ლიტერატურა არ შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს და საჭიროა მათი განახლება უფრო თანამედროვე, შევსებული გამოცემებით. სახელმძღვანელოები წარმოდგენილია ბიბლიოთეკის ფონდის საცავში.

უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც ჩართულია საერთაშორისო სამიხედულ სისტემაში, უზრუნველყოფს დარგის მიმართულებით უახლესი მიღწევების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

საერთო ჯამში, ვიზიტის გარგლებში დადასტურდა, რომ „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, სასურველია მხოლოდ რამოდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსისთვის ძირითადი ლიტერატურის განახლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მეთოდური მასალა და ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ყველა სილაბუსში გამოყენებული ლიტერატურა არ შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს და საჭიროა მათი განახლება უფრო თანამედროვე, შევსებული გამოცემებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გამომდინარე იქიდან, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა მცირე კონტინგენტიანია, დაწესებულების ხელმძღვანელობასთან ინტერვიუს დროს განხილული იქნა პროგრამის ფინანსური მდგრადობის საკითხი. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტი საერთო ბიუჯეტიდან, ვინაიდან, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებს დამოუკიდებელი ბიუჯეტები არ გააჩნიათ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის სრული ფინანსური მიმოხილვა, რომელიც მოიცავდა მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსურ ნაწილსაც. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, მისი შემოსავლების 52,3%-ს წარმოადგენს აკადემიური საფეხურის სტუდენტების სწავლის გადასახადისგან შემოსული თანხა, 25,9 %-ს ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტების სახით მიღებული თანხები, ცოდნის

ფონდის პირდაპირი დაფინანსება სასწავლოსამეცნიერო მიზნებისთვის - 5,2% და შემოსავლები სხვა სასწავლო-პრაქტიკული და ლაბორატორიული საქმიანობიდან - 16,6%. ბიუჯეტის განაწილებაში ჩაშლილი აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების მომსახურებისა და განვითარების თანხები. შესაბამისად, ვინაიდან პროგრამას არ გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი და იგი ფინანსდება საერთო ბიუჯეტიდან, ხოლო დაწესებულების ფინანსური მდგრალობა ექვგარეშეა, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი „მექანიკის ინჟინერიის“ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრალობაც უზრუნველყოფილია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიუჯეტი (დოკუმენტი ფინანსური რესურსის უზრუნველყოფის თაობაზე). ○ დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		+		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პროცესში მონაწილეობენ სხვადასხვა სამსახურები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების საფუძველზე და ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე. იგი საქმიანობას ახორციელებს „ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის“ (PDCA) მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, მოახდინე რეაგირების“ დინამიური მოდელის მიხედვით ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების კონტექსტში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული მოდელის საფუძველზე „ა) გეგმავს საკუთარ სამუშაოს, კერძოდ, გეგმავს, საქმიანობის რომელი ასპექტები უნდა შეფასდეს, რომელი სკოლები თუ საგანმანათლებლო პროგრამები და როგორი თანმიმდევრობით; ბ) ახორციელებს დაგეგმილ სამუშაოს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; გ) აკეთებს მიღებული შედეგების ანალიზს; დ) განსაზღვრავს აღმოჩენილი ხარვეზების მიზეზებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს“.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით უნივერსიტეტის „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და სტრუქტურა ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვას შეინარჩუნოს „თხელი სტრუქტურის“ (Lean Structure) იდეა, რათა სტუდენტებსა და პროფესორებს შეეძინათ ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერი და დაცული იყოს მათი

ღირებულებები და აკადემიური თავისუფლება“.

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები გუნდური პრინციპით ახორციელებენ ხარისხის კონტროლსა და უზრუნველყოფას.

მაგალითად: სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ხარვეზების არსებობის შემთხვევაში. ხარვეზის იდენტიფიცირების შემთხვევაში პროცესის გაუმჯობესებაში ჩართულია არა მხოლოდ ხარისხის სამსახური, რომელიც აგროვებს და ანალიზებს მონაცემებს, არამედ ყველა ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვაში.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის, კვლევის შედეგების და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, ხარვეზების იდენტიფიცირების შემთხვევაში გეგმავს ვორქშოუებს, სემინარებსა და ტრენინგებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პედაგოგიური პროფესიული უნარების განვითარების მიზნით. პროგრამების განვითარების პრორექტორს ხარისხის სამსახურიდან მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ეხმარება პროგრამების და კურიკულუმების განვითარების, გაუმჯობესების სამუშაოთა დაგეგმვასა და განხორციელებაში და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოების საფუძველზე ადმინისტრაციასთან ერთად ეფექტურად არის ჩართული უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი ეფექტურად თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვასა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში, ასევე, თავად პროგრამის განხორციელების ეტაპზე შეფასებაში და მიღებულ შედეგებს იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვა და გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამების გარე შეფასების მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. უნივერსიტეტის წარმომადგენლები, როგორც თვითშეფასების დოკუმენტში ვეცნობით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს განიხილავენ და მხოლოდ კრიტიკული განხილვისა და დისკუსიის შემდეგ ითვალისწინებენ ისეთ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც ხელს შეუწყობს ამ კონკრეტულ პროგრამაზე სწავლის ხარისხის უზრუნველყოფასა და განვითარებას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია 2011 წლის 11 ნოემბრის N 273 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების გადამოწმება ვერ მოხერხდა, ვინაიდან ექსპერტთათვის არ იყო ხელმისაწვდომი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება. უნივერსიტეტს ავტორიზაცია აქვს გავლილი 2019 წელს გადაწყვეტილება №6 (11.03.2019) .
მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ტენდენციის მონიტორინგი ხდება სტეიკჰოლდერთა მრავალმხრივი ჩართულობის პირობებში. პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რისთვისაც იყენებს სფეროში აღიარებულ მეთოდოლოგიას. პროცესში მოწმდება ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა, სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, სტუდენტთა მიღწევები და სწავლის რესურსებით უზრუნველყოფა. პროგრამა სწავლის შედეგების შესაფასებლად იყენებს შედეგების გაზომვის პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდს. არაპირდაპირი მეთოდები გულისხმობს სტუდენტების და პერსონალისაგან უკუკავშირის მიღებას. შეფასების პირდაპირი მეთოდის მექანიზმების განსახორციელებლად უნივერსიტეტს უკვე შექმნილი აქვს შეფასების გეგმა, რომელიც

გულისხმობს პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის მისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით გაზომვას. შეფასების გეგმის ფარგლებში უკვე განსაზღვრულია თუ რომელი სასწავლო კურსი და მისი შეფასების რომელი კრიტერიუმი გამოიყენება სწავლის თითოეული შედეგის შესაფასებლად. მოცემული გეგმის განხორციელება დაიწყება 2024-2025 სასწავლო წლიდან.

პროგრამის მონიტორინგისა და შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფის პროცესში მუდმივად არიან ჩართულები ისეთი სამსახურები, როგორიცაა სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და წარმოქმნილი ხარვეზების შესახებ, რომლის აღმოფხვრაშიც ერთგვარი პრობლემურ არესთან კავშირში მყოფი სტუქტურული ერთეულები. ასევე, აღსანიშნავია სტუდენტების დეკანის ჩართულობა, რომელიც აწვდის ინფორმაციას სტუდენტების მიერ დასახელებულ პრობლემებსა თუ გაურკვევლობებზე და ასრულებს შუამავლის როლს სტუდენტებისაგან უკუკავშირის მიღების პროცესში. ყოველივე ეს პროგრამის განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებს საშუალებას აძლევს ინტენსიურ რეჟიმში აკონტროლონ პროგრამის ფუნქციონირება და დროულად აღმოფხვრან წარმოქმნილი ხარვეზები.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აქტიურად გამოიყენება კითხვარები. იგი სტუდენტს აძლევს საშუალებას საკუთარი აზრი დააფიქსიროს თითოეული სასწავლო კურსის, შეფასების სისტემის, სასწავლო გეგმის, სწავლების მეთოდებისა და უშუალოდ ლექტორის შესახებ. მას ასევე საშუალება ეძლევა საკუთარი აზრი გამოხატოს იმის შესახებ თუ რის შეცვლას ისურვებდა სასწავლო კურსსა თუ ლექტორის მეთოდიკასთან მიმართებით. აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვან სამოქმედო ორიენტირებს ქმნის პროგრამის განვითარებისათვის. სტუდენტები ასევე იღებენ მონაწილეობას პროგრამის ხელმძღვანელის შეფასებაში და აფიქსირებენ თუ რამდენად დროულად და სამართლიანად ხდება მის მიერ სტუდენტთა თხოვნებისა და განცხადებების განხილვა. სასწავლო კურსების შეფასებისათვის გამოიყენება ნიშნების განაწილების ანალიზი, რის საფუძველზეც ხდება ან შეფასების მიმდინარე სისტემის მიზანშეწონილობის გადახედვა ან კურსის სხვა კომპონენტის განვითარება.

კვლევის შედეგებისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ხარვეზების იდენტიფიცირების შემთხვევაში აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი გეგმავს ვორქშოფებს, სემინარებსა და ტრენინგებს აკადემიური პერსონალისათვის, რაც ზრდის პროგრამის შედეგების რეალიზების შესაძლებლობას და ამაღლებს მის ეფექტიანობას.

როგორც აღინიშნა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება შეფასების შედეგების ანალიზი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს და სილაბუსების განახლებისთვის. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განმარტებით აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს საშუალება აქვს შეაფასოს გამოყენებული სწავლების მეთოდების, მდგომარეობის, შეფასების სისტემის ეფექტიანობა და სასწავლო კურსის შინაარსის ადეკვატურობა დასახულ მიზნების მიმართებაში. რაც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზს, გაზომვას და მიღებული მონაცემების

განხილვის შემდეგ, აუცილებლობის შემთხვევაში, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიკაციას.

მიუხედავად ჩვენს მიერ აღწერილი არსებული კარგი პრაქტიკისა, საჭიროა პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაში გაიზარდოს განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის ჩართულობის ხარისხი, ვინაიდან, როგორც მათმა ნაწილმა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს დროს აღნიშნა, გააჩნიათ შენიშვნები და მოსაზრებები იმ სასწავლო კურსების სილაბუსების მიმართ რომლებსაც უძღვებიან და მათ მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული მათ შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან..

რეკომენდაციები:

- საჭიროა პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაში გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის ჩართულობის ხარისხი, ვინაიდან, როგორც მათ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს დროს აღნიშნეს, გააჩნიათ შენიშვნები და მოსაზრებები იმ სასწავლო კურსების სილაბუსების მიმართ რომლებსაც უძღვებიან და მათ მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული მათ შემუშავებაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	+			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		+		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		+		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	+			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	+			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	+			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მანანა მოისწრაფიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

გიორგი ჯაფარიძე



ცოტნე ცაავა

